პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2023 წლის --- სექტემბერი; ქალაქი ბათუმი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე მდებარე N36-ე საბავშვო ბაღში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა საგამონაკლისო წესით ჩარიცხვასთან დაკავშირებით, ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს მიეცეს თანხმობა, 2023/2024 სასწავლო წლისათვის, უსასყიდლოდ განახორციელოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე მდებარე N36-ე საბავშვო ბაღში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული აღსაზრდელთა ჩარიცხვა, დადგენილი ზედა კვოტირების ფარგლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოწოდებული სიის შესაბამისად და უზრუნველყოს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მიწოდება.
2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართ-ლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე მდებარე N36-ე საბავშვო ბაღში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა საგამონაკლისო წესით ჩარიცხვასთან დაკავშირებით, ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალატეტის მერიას 2023 წლის 12 სექტემბრის N114-1142325565 წერილით მომართა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ, სადაც აღნიშნულია, რომ დაბა ჩაქვს ემსახურება ორი მუნიციპალური საბავშვო ბაღი, რომლის კონტიგენტი შეადგენს 245 აღსაზრდელს, რაც არასაკმარისია სკოლამდელი ასაკის ბავშვების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული გარემოებების გამო ჩაქვის საბავშვო ბაღებში ბავშვების ჩარიცხვის თაობაზე დაწერილი განცხადებები ვერ კმაყოფილდება სრულად.

ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარში, დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე, ბათუმის მერიის მიერ აშენდა საბავშვო ბაღი. აღნიშნულ ბაღში ვერ ჩაირიცხება დაბა ჩაქვში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარში მცხოვრები ბავშვები, თუ მშობლებს არ ექნება ბათუმის მუნიციპალიტეტის რეგისტრაცია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ მოგვმართა თხოვნით, რათა მივიღოთ გადაწყვეტილება და მათ მიერ მოწოდებული სიების საფუძველზე მოხდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვის ადმინისტრაციულ საზღვარში მცხოვრები აღსაზრდელების ჩარიცხვა ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარში, დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე მდებარე საბავშვო ბაღში.

საბოლოოდ განკარგულების მიზანია ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ 2023/2024 სასწავლო წლისათვის, უსასყიდლოდ განახორციელოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე მდებარე N36-ე საბავშვო ბაღში ქობულეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა ჩარიცხვა, დადგენილი ზედა კვოტირების ფარგლებში და უზრუნველყოს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მიწოდება.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

და ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებას მიეცეს თანხმობა 2023/2024 სასწავლო წლისათვის, უსასყიდლოდ განახორციელოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის

ადმინისტრაციულ საზღვრებში დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე მდებარე N36-ე საბავშვო ბაღში ქობულეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა ჩარიცხვა, დადგენილი ზედა კვოტირების ფარგლებში და უზრუნველყოს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მიწოდება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტი დაფინანსდება ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებას არსებული ბიუჯეტის ფარგლებში.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტი დაფინანსდება ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებას არსებული ბიუჯეტის ფარგლებში.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის განათლების, კულტურის, სპორტის
და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი **მერაბ ქიძინიძე**